თეა ზარქუა, მაია ბერიძე, ირინე კეკელიძე

ამოსახველებელი მცენარეული სამკურნალო საშუალებების მარკეტინგული კვლევა

თსსუ სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

Doi: https://doi.org/10.52340/jecm.2023.01.18

TEA ZARQUA, MAIA BERIDZE, IRINE KEKELIDZE

A MARKETING STUDY OF EXPECTORANT HERBAL REMEDIES

TSMU, Department of Social and Clinical Pharmacy

SUMMARY

Diseases of the upper respiratory tract are widespread. Their chronic relapsing nature and the frequency of complications reduce work capacity. Pharmacotherapy for the treatment of the upper respiratory tract involves the complex appointment of chemical drugs, which leads to an increase in the number of side effects. Therefore, it is necessary to create new, highly effective means that are non-toxic during long-term use. Such are the herbal remedies, after which the side effects were less visible.

Keywords: marketing study, herbal remedies, respiratory tract

სასუნთქი ორგანოების ხველით თანდართულ დაავადებათა კომპლექსურ მკურნალობაში ხშირად გამოიყენება ხველის საწინააღმდეგო და ამოსახველებელი სამკურნალო საშუალებები. ყოველი კლინიკური შემთხვევა ექიმის წინაშე აყენებს საპასუხისმგებლო ამოცანას, რომლის არსიც მდგომარეობს თერაპიის რაციონალურ შერჩევაში. ხველაზე მოქმედი კონკრეტული მედიკამენტების არჩევა გამართლებული უნდა იყოს პათოგენურად, მოქმედების მექანიზმის და ფარმაკოკინეტიკის ცოდნაზე დაყრდნობით, აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იქნას პაციენტის ინდივიდუალური თავისებურებანი [2].

ზემო სასუნთქი გზების დაავადებები ფართოდაა გავრცელებული. მათი ქრონიკული რეციდიული ხასიათი და გართულებათა სიხშირე იწვევს აქტიურ პირთა შრომისუნარიანობის დაქვეითებას, რაც მეტად აქტუალური საკითხია თანამედროვე მედიცინასა და ფარმაციაში.

ამოსახველებელი პრეპარატების დანიშვნის დროს, არსებობს სხვადასხვა ბუნებისა და ლოკალიზაციის პროცესები, ასევე სხვადასხვა მექანიზმის ხველების საწინააღმდეგო და ამოსახველებელი საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობენ ნახველის გამოდევნას სასუნთქი გზებიდან, ამცირებენ ხველას და აუმჯობესებენ პაციენტის მდგომარეობას [4].

ფარმაკოთერაპია ზემო სასუნთქი გზების სამკურნალოდ ითვალისწინებს ქიმიური პრეპარატების კომპლექსურ დანიშვნას, რაც იწვევს გვერდით მოვლენათა რიცხვის ზრდას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი ახალი, მაღალეფექტური საშუალებების შექმნა, რომლებიც არატოქსიკურნი არიან ხანგრძლივი გამოყენებისას და არ იწვევენ არასასურველ თანამოვლენებს. ასეთებს წარმოადგენს მცენარეული სამკურნალო საშუალებები [1].

საკმაოდ მნიშვნელოვანია ფარმაცევტის როლი ხველების საწინააღმდეგო და ამოსახველებელი პრეპარატების შერჩევასა და გამოყენებაში. მან სწორად უნდა მიაწოდოს პაციენტს ინფორმაცია, თუ რისთვის, როგორი დოზირებით და რა სიხშირით მიიღოს ესა თუ ის პრეპარატი, რადგან ხშირია აღნიშნული პრეპარატების არასწორად მიღების შემთხვევები თვითმკურნალობის დროს [3,5].

კვლევის მიზანია საქართველოს სამედიცინო მომსახურეობის ბაზარზე მცენარეული სამკურნალო საშუალებების შესწავლა და მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება. კვლევის მიზნიდან გამოდინარე, საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა: ფარმაცევტულ ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის ძირითადი მახასიათებლების შესწავლა; მომხმარებლების მოთხოვნების განსაზღვრა და ფარმაცევტის როლი ამოსახველებელი პრეპარატების შერჩევისას.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მცენარეული წარმოშობის მუკოლიზური საშუალებები (ტუხტის შემცველი ფიტოპრეპარატები, ვირისტერფას ჩაი, მუკალტინი, მრავალძარღვას სიროფი). მარკეტინგული კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა ანკეტური გამოკითხვის მეთოდი, სადაც გამოიკითხნენ სხვადასხვა აფთიაქის მენეჯერები და მომხმარებლები.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ატარებდა შუალედურ ხასიათს, ვინაიდან შერჩევის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები დაწვრილებითი ანალიზის ჩატარების საშუალებას არ იძლეოდა. წარმოგიდგენთ შედეგებს:

აქვთ თუ არა პაციენტებს ჩივილები ამოსახველებელი მცენარეული საშუალებების გვერდით მოვლენებზე	**%**
დიახ	7%
არა	93%

დიაგრამა 1. რას ენიჭება უპირატესობა პრეპარატის არჩევის დროს?



დიაგრამა 2



დასკვნები:

- თეორიული და პრაქტიკული გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მცენარეული წარმოშობის ამოსახველებელ სამკურნალო საშუალებებს მომხმარებელთა უმეტესობა იცნობს და დიდი ნაწილი მოიხმარს მათ.
- გამოკითხვამ აჩვენა ისიც, რომ პაციენტთა უმრავლესობა მიმართავს თვითმკურნალობას; მედიკამენტის შერჩევისას პაციენტები ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფასს, რაც გამოწვეულია დღევანდელი სოციალური მდგომარეობით.
- მომხარებელთა უმეტესი წილი კმაყოფილია ფარმაცევტის კომპეტენციითა და ცოდნით.
- მცენარეული წარმოშობის ამოსახველებელი სამკურნალო საშუალებების მიღების შემდეგ ნაკლებად გამოვლინდა გვერდითი ეფექტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.aif.ru/health/leksprav/otharkivayuschie_preparaty_i_mukolitiki
2. http://www.vidal.ge/
3. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/marketingiDODO.pdf
4. ლ.ერისთავი. ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები). საქართველოს მაცნე. თბილისი. 2005
5. Котлер Ф. Маркетинг-менеджмент. Экспресс-курс. 2-ое издание. Питер. 2005

თეა ზარქუა, მაია ბერიძე, ირინე კეკელიძე

ამოსახველებელი მცენარეული სამკურნალო საშუალებების მარკეტინგული კვლევა

თსსუ სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

რეზიუმე

ზემო სასუნთქი გზების დაავადებები ფართოდაა გავრცელებული. მათი ქრონიკული რეციდიული ხასიათი და გართულებათა სიხშირე აქვეითებს შრომისუნარიანობას. ფარმაკოთერაპია ზემო სასუნთქი გზების სამკურნალოდ ითვალისწინებს ქიმიური პრეპარატების კომპლექსურ დანიშვნას, რაც იწვევს გვერდით მოვლენათა რიცხვის ზრდას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი ახალი, მაღალეფექტური საშუალებების შექმნა, რომლებიც არატოქსიკურნი არიან ხანგრძლივი გამოყენებისას. ასეთებია მცენარეული სამკურნალო საშუალებები, რომელთა მიღების შემდეგ ნაკლებად გამოვლინდა გვერდითი ეფექტები.